პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 7 ივნისი № 131 (17774) ფასი 2 კაპ.

მატიანე: ვაზი შვილივით ნაზარდი!

ყრილობისწინა დათვალიერებაზეა მევენახეობა და მეღვინეობა

ქარგად არის ნათქვამი: საქართველოში მეზვრისა და ვაზის ერთგულებით, საუკუნეების მანძილზე რუდუნებით შეიქმნა 500-ზე მეტი ჯიში. მეზვრისა და ვაზის ერთგულებამაც გადაარჩინა ძველ, დუხჭირ დროში ქართველი გლეხკაცი. კაცი ვაზითაო, ვაზი კაცითაო! — ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვაზს უერთგულებ, ისიც გიერთგულებს, ბარაქით აგავსებს, კერას გაგიძლიერებს, ქვეყანაზე გამოგაჩენს.

შარშანწინ, მის წინათაც, შარშანაც საქართველოს მევენახეებმა ვაზს უერთგულეს, მაგრამ ავდარმა თავისი ქნა, და მან ხუთწლიან გეგმაზე იმოქმედა. მაგრამ ჩვენი მევენახეები, როგორც ვამბობთ ხოლმე, ბუნების წყალობას როდი ელოდებიან. მათ კარგად ახსოვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლითაც შარშან დეკემბერში საქართველოს მიწათმოქმედთ მიმართა: „გამოვთქვამთ მტაცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც ჩინებულ შედეგებს მიაღწევენ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოებაში და საერთოსაკავშირო შრომის დანაწილებაში აამაღლებენ საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის, როლს“. ეს სიტყვები საქართველოს სოფლის მშრომელებს და განსაკუთრებით მევენახეებს დიდი ამოცანების წინაშე აყენებს.

როგორც ვთქვით, დიდი ამოცანების წინაშე დგანან საქართველოს მევენახეები, მათ არა მარტო უნდა შესრულონ წლევანდელი დავალება, არამედ აინაზღაურონ კიდეც წინა წლების უამინდობით გამოწვეული დანაკლისი, რაც არცთუ ისე მცირეა. შარშან დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგნოზების მიხედვით სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებას მთელი ხუთწლედის მანძილზე 100-120 ათასი ტონა აკლდება.

ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში ვენახების ფართობების გადიდებასთან ერთად დიდი ღონისძიებები განხორციელდა ყურძნის მოსავლიანობის გასაადიდებლად, რის შედეგადაც საგრძნობლად იმატა ყურძნის წარმოებამ. თუ 1970 წელს რესპუბლიკაში ვაწარმოეთ 579 ათასი ტონა ყურძენი, საიდანაც საზოგადოებრივი მეურნეობების წილად 234 ათასი ტონა ანუ 40 პროცენტი მოდიოდა, 1977 წელს 585 ათასი ტონა ვაწარმოეთ, საიდანაც 47 პროცენტი საზოგადოებრივ მეურნეობებიდანაა. 1978 წელს ყურძნის წარმოებამ 1970 წელთან შედარებით 196 ათასი ტონით მოიმატა და 775 ათას ტონას მიაღწია. შარშან კი 780 ათასი ტონა ყურძენი ვაწარმოეთ. აქედან საზოგადოებრივი მეურნეობების წილი 344 ათასი ტონა იყო. როგორც ვხედავთ, ბოლო ცხრა წლის მანძილზე რესპუბლიკაში ყურძნის წარმოებამ 1,3-ჯერ იმატა, საზოგადოებრივ სექტორში კი 1,4-ჯერ.

ცნობილია, რომ ყურძნის წარმოების გადიდების დიდი რეზერვი ყოველ ჰექტარზე უხვი მოსავლის მიღებაა. ამ შემთხვევაშიც უკანასკნელ წლებში დიდი წინსვლაა. თუ 1970 წელს ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 61 ცენტნერი იყო, 1978 წელს ეს მაჩვენებელი 11 ცენტნერით გადიდდა და 71 ცენტნერი იყო, შარშან კი ჰექტარზე ვაწარმოეთ 72,5 ცენტნერი. ეს მაშინ, როცა შარშან მევენახეობისათვის არცთუ ისე სახარბიელო ამინდი იყო.

ახლა გადავხედოთ იმას, თუ როგორია მდგომარეობა ყურძნის დამზადებაში. აქაც ამ ბოლო წლებში დიდი წინსვლაა. 1978 წელს რესპუბლიკაში პირველად გადავლახეთ ნახევარმილიონიანი მიჯნა. ამ წელს საქართველოს მევენახეებმა 574 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ხოლო შარშან — 577 ათასი ტონა.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებასა და დამზადებაში, როგორც ყოველთვის, წელსაც თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან საქართველოს დიდი ზვრების რეგიონის — კახეთის მევენახეებმა. შარშან მათ სახელმწიფო მარანში 885 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიიტანეს, რაც რესპუბლიკაში მთლიანად დამზადებული ყურძნის 68 პროცენტია. ამდენი ყურძენი, სულ რაღაც ათი-თორმეტი წლის წინათ, მთელ საქართველოში მზადდებოდა. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენოთ საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონების მევენახეები, რომლებმაც დიდძალი ყურძენი მოიწიეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს.

რეზერვებზე რომ ვლაპარაკობთ, მოწინავე მევენახეთა მაგალითიც უნდა გავითვალისწინოთ. მოწინავეთა მიღწევების დანერგვა თავისთავად დიდი რეზერვია. ახმეტის რაიონის მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ შარშან ნაცვლად 65 ცენტნერისა ჰექტარზე 117 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ასეთივე სასახელო მაჩვენებლები აქვთ მატნისა და ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს. რაიონში ყველა მეურნეობას ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი ყურძენი რომ მიეღო, ხომ უფრო მეტი ყურძენი მიეყიდებოდა სახელმწიფოს? ურიგო რეზერვი როდია ბრძოლა ყოველ ჰექტარზე უხვი მოსავლის მისაღებად. ამ მხრივ მისაბაძ მაგალითებს იძლევიან მოწინავე აგროუნები, ბრიგადები, ცალკეული მევენახეები. იმავე მოწინავე მაღრაანის მეურნეობაში ს. ელიბაშვილის აგროუბანმა, რომელსაც 132 ჰექტარი ვენახი აქვს, ჰექტარზე საშუალოდ 177 ცენტნერი ყურძენი მოიწია. მატნის საბჭოთა მეურნეობაში დ. ოტიაშვილის აგროუბანმა — 166 ცენტნერი, თელავის რაიონის ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ლ. ერისთავის აგროუბანმა — 156 ცენტნერი, კონდოლის კოლმეურნეობის ტ. კაციაშვილის ბრიგადამ — 167 ცენტნერი, იყალთოს კოლმეურნეობის შ. დედაბრიშვილის ბრიგადამ — 132 ცენტნერი. რუისპირის კოლმეურნეობის მევენახემ გ. ძამუკაშვილმა ჰექტარზე 161 ცენტნერი ყურძენი მოიწია. ასეთი მაგალითების მოყვანა კახეთის რეგიონის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობიდან შეიძლება. კარგად არის ნათქვამი, — თუ ერთმა შეძლო, ბევრი სხვაც შეძლებსო. მთავარი ის არის, თუ როგორ იბრძვიან რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მეცვალი ჰექტარზე 61 ცენტნერი იყო, 1978 წელს ეს მაჩვენებელი 11 ცენტნერით გადიდდა და 71 ცენტნერი იყო, შარშან კი ჰექტარზე ვაწარმოეთ 72,5 ცენტნერი. ეს მაშინ, როცა შარშან მევენახეობისათვის არცთუ ისე სახარბიელო ამინდი იყო.

ახლა გადავხედოთ იმას, თუ როგორია მდგომარეობა ყურძნის დამზადებაში. აქაც ამ ბოლო წლებში დიდი წინსვლაა. 1978 წელს რესპუბლიკაში პირველად გადავლახეთ ნახევარმილიონიანი მიჯნა. ამ წელს საქართველოს მევენახეებმა 574 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ხოლო შარშან — 577 ათასი ტონა.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებასა და დამზადებაში, როგორც ყოველთვის, წელსაც თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან საქართველოს დიდი ზვრების რეგიონის — კახეთის მევენახეებმა. შარშან მათ სახელმწიფო მარანში 885 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიიტანეს, რაც რესპუბლიკაში მთლიანად დამზადებული ყურძნის 68 პროცენტია. ამდენი ყურძენი, სულ რაღაც ათი-თორმეტი წლის წინათ, მთელ საქართველოში მზადდებოდა. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენოთ საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონების მევენახეები, რომლებმაც დიდძალი ყურძენი მოიწიეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს.

მეზვრისა და ვაზის ერთგულება



● რესპუბლიკაში ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი — ზემოთ (ცენტნერობით, ყველა კატეგორიის მეურნეობებში).

● რესპუბლიკაში ყურძნის დამზადება მეათე ხუთწლედში (ტონობით, ყველა კატეგორიის მეურნეობებში).



ბლად ახალშენი ვენახებიც უნდა გავითვალისწინოთ. იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს, სადაც მეათე ხუთწლედის პირველ და მეორე წელს დიდძალი ახალი ვენახი გაშენეს, წლიურს კარგი მოვლა-პატრონობით შეუძლიათ სათანადო მოსავალი მოიწიონ.

ახალი ვენახების გაშენების დავალება ყველგან თავის დროზე რომ შესრულებულიყო, ახლა მდგომარეობა შესამჩნევად უკეთესი იქნებოდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ვენახების გაშენების 1979 წლის გეგმა რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 80 პროცენტით შეასრულეს. ამ მხრივ არც მთლიანად ხუთწლედშია მდგომარეობა სახარბიელო. ახალი ვენახების გაშენების ოთხი წლის გეგმა 47 პროცენტით შესრულდა. ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის (ასეთთა რიცხვი კი არც თუ ისე მცირეა) ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი.

ვენახების გაშენებას ნამდვილად უსულგულოდ მოეკიდნენ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები. შარშან ამ რეგიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვენახების გაშენების გეგმა მხოლოდ 36,4 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 2.662 ჰექტარისა გაშენეს 971 ჰექტარი ვენახი.

ერთგულება

ზ. ეცადაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ყრილობიდან ყრილობამდე

ბევრი საქართველოს მიწის მშვენება და სიამაყეა. ეს რქაფალოცვილი მცენარე ამაგს ასამაგად ანაზღაურებს და მეზვრესაც ვენახი თავის მარჩენლად მიაჩნია. მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში ჩვენმა მკლავმოულელმა მევენახეებმა იბეჭდითეს, ხშირად უხვ მოსავალსაც იწვდნენ, მაგრამ სტიქიური მოვლენების გამო პირველ და მეორე წელს ყურძნის დამზადების დავალება მაინც ვერ შესრულდა.

წელს კი ისე თავდადებით, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ მევენახეები, რომ ხუთწლედის პირველი და მეორე წლის დანაკლისიც დაფარონ და წლევანდელი დავალებაც გადამეტებით შეასრულონ. მევენახეთა საპატიო ვალია ყოველგვარი ხარვეზები დაძლიონ და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე ვალმოხდილი გამოვიდნენ. ახალი წარმატებებით შეეგებონ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

მაგ ასე, დღეს ყრილობისწინა დათვალიერებაზეა მევენახეობა და მეღვინეობა.

დიდი შრომითი გამარჯვება

„საქიდროენერგოშენის“ ტრესტის ენგურის ჰიდროელექტროსადგურის „შენებლობის საამქართველოს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ თქვენ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს დიდ შრომითს გამარჯვებას — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის მეათე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებას.

მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალეროვანი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად ხუთწლედის მანძილზე გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით „ფრიადი“ შეფასებით გადაეცა საექსპლოატაციოდ ენგურჰესის მილიონ 40 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის 4 აგრეგატი, რამაც მნიშვნელოვანწილად გავლენა მოახდინა რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებასა და მისი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებაზე.

თქვენმა შრომითმა გმირობამ, ძვირფასო ამხანაგებო, მაღალი შეფასება დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში 1978 წლის 5 ნოემბერს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატის ამუშავებასთან დაკავშირებით.

ახლა ენგურჰესის მშენებელთა კოლექტივის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს სადგურის მეხუთე აგრეგატის ამუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ სრული სიმძლავრით ენგურჰესის ამუშავების ხუთწლედის დავალება.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ენგურჰესის მშენებელთა სახელოვანი კოლექტივი არ დასჯერდება მიღწეულს, დასახავს მეათე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების ახალ მიჯნებს და თავის წვლილს შეიტანს რესპუბლიკის მშრომელთა მისწრაფებაში — ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო პ. ვ. ნარასიმჰა რაო

6 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო და ესაუბრა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ვ. ნარასიმჰა რაოს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა თანამიმდევრული ხასიათი აქვს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის გაღრმავება.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ იმპერიალიზმის ძალების ხრიკებმა გაართულა საერთაშორისო ვითარება. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს დაძაბულობის შენელების, კონფლიქტური სიტუაციების აღკვეთის, გარედან ჩაურევლად თითოეული ხალხის დამოუკიდებელი განვითარების უფლების პატივისცემის პოლიტიკა.

ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების განცხადებას, რომ უახლოეს ხანში გაიმართოს მსოფლიოს ყველა რაიონის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების უმაღლესი დონის შეხვედრა, რომლის ყურადღების ცენტრში იქნება საერთაშორისო დაძაბულობის კერების აღმოფხვრისა და ომის დაშვებლობის ამოცანა.

რაც შეეხება ავღანეთს, ითქვა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ავღანეთის გამო შექმნილი ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას, რაც უზრუნველყოფდა ამ ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიისა და მის საშინაო საქმეებში გარედან ყოველგვარი ჩარევის სრულ შეწყვეტას. ამისათვის, ისევე როგორც ავღანეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის, კარგი საფუძველია კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც 14 მაისს წამოაყენა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი ეხმარება და მხარს უჭერს ინდოეთს, გამოთქვა ინდოეთის მხარის კმაყოფილება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა ვითარდება მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელობის სულისკვეთებით, და დაადასტურა ინდოეთის მთავრობის მზადყოფნა კვლავაც განავითაროს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა ყველა დარგში. მან განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა და ხალხი დიდად აფასებენ მტკიცე კურსს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ადგას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. შ. სამოტეიკინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. მ. ვორონცოვი, აგრეთვე ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი რ. დ. სათე, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ი. კ. გუჯრალი. (საკდესი).

საქართველოს ისტორიკოსთა მეორე შეხვედრა

6 ივნისს ბორჯომში დაიწყო საქართველოს მეცნიერი ისტორიკოსების ტრადიციული შეხვედრა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ — ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სტურუა, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი ა. კუპრავა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დ. სტურუა, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. კაჟარავა.

მოიწყო მოხსენებათა ფართო განხილვა.

საქართველოს მეცნიერი ისტორიკოსების შეხვედრაში მონაწილეობენ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

საქართველოს ისტორიკოსთა ფორუმი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

ДАРЧМУНЕБУЛИ ВАР, РОМ САКАРТВЕЛОС СОФЛИС МЕУРНЕОБИС МШРОМЕЛЕБИ КВЛАВАЦ МЕТИ СИМТКИЦИТ იბრძოლებენ ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეტ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ყრილოგინდან ყრილოგამდე

მატიანე: ვენი

ყრილოგისწინა

ПАРТИИС XXVI ЧРИЛОГИСАТВИС

მეთვენახეობის ბაზა მეთერთმეტე ხუთწლეულში უნდა გაიზარდოს 30 ათასი ჰექტარი ახალი ვენახების გაშენების გზით. 25 ათასი ჰექტარი ვენახები უნდა გაშენდეს კახეთის რეგიონებში, ხოლო დანარჩენი 5 ათასი ჰექტარი ქართლსა და დასავლეთ საქართველოში.

ე. ა. შევარდნაძე.

რეზერვები ელის ამოქმედებას

ამათი ხუთწლედის დამამთავრებელმა წელმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, ჩვენი წინასწარი საქმეში. ამასთან მომავალ ხუთწლედს წელსვე უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი. მანამდე კი, მეათე ხუთწლედის დარჩენილ დროში, ჩვენს მევენახეებს დიდზე დიდი საზრუნავი და საფიქრალი აქვთ. წლევანდელ მოსავალზე ფიქრი შარშანვე, რთველის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. გავაანალიზეთ ოთხი წლის შედეგები და გამოვიძებნეთ ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო შესაძლებლობანი.

რა დასამალია, რომ ჩვენი მევენახეები რთული, მაგრამ მეტად საპატიო ამოცანის წინაშე დგანან. ისინი თავდაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ მოლიანად აინაზღაურონ ხუთწლედის ოთხი წლის დანაკლისი. კარგად გვესმის, რომ განვლილ ოთხ წელიწადში რესპუბლიკის მევენახეთა დავალების შესრულებას 100-120 ათასი ტონა ყურძენი აკლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 4 ათასი ჰექტარი ახალშენი ვენახი, რომელიც შარშან გადავიყვანეთ შპალერზე.

ზემოთ აღვნიშნე და ახლაც დაბეჯითებით მინდა გავიმეორო, რომ მთავარი რეზერვი, რომლის იმედითაც ჩვენ ვამბობთ, „შეევასრულებთო“, რაიონის მევენახეთა ენერგიული შრომა და ვაქცაცური შემართებაა. აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ ოთხი წლის გეგმის შეუსრულებლობას თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. ეს იყო სტიქიური მოვლენები — გვალვა, სეტყვა, ყინვა. ისე კი, გურჯაანელებს ზვრებისათვის ხელი არც მაშინ, არც შემდეგ და არასოდეს არ დაუკლიათ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს: უნდა ვაღიაროთ, ვინც უფრო მეტად გაისარჯა, ვინც არ დაზოგა ენერგია, თავისი შემოქმედებითი უნარი, მან საწადელსაც მიაღწია. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 259 ბრიგადიდან უმეტესობამ უკვე შეასრულა ოთხწლიანი გეგმა, მათმა ერთმა ნაწილმა კი ხუთწლედის მიჯნებსაც გადააჭარბა.

ამ ბრიგადებმა ყურძნის დამზადების დავალებები შესაბამისად 207,2 და 130 პროცენტით შეასრულეს, მელაანის კოლმეურნეობის მეხუთე და მეოთხე ბრიგადებმა კი (ბრიგადირები — ომარ იორამაშვილი და შოთა ჯავახიშვილი) 148,2 და 136,4 პროცენტით. არაშენდის კოლმეურნეობის ბრიგადებმა, რომლებსაც შალვა ბოსტოღანაშვილი, გივი მედულაშვილი, ილო ყამბარაშვილი უდგანან სათავეში, ოთხწლიანი დავალებები 159,2-151,0-131,3 პროცენტით შეასრულეს. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ კაჭრეთის კოლმეურნეობის თენგიზ ბაცანაძის, გოგი და მიშა გეთიაშვილების, გოგი ლაზიაშვილის ბრიგადებს, რომლებსაც ტოლს არ უდებენ ჩუმლაყის კოლმეურნეობის სოციალისტური შრომის გმირის ქარუმ ბერდიაშვილის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გივი კენკოშვილის, ვალოდია ხეცუაშვილის, ილო ოსოშვილის და სხვათა ბრიგადები.

ახლა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამარჯვების რწმენით შთაგონებული შრომა სუფევს, შექმნილია სიიმისო პირობები, რომ რენტაბელობა 30 პროცენტზე ნაკლები არ იყოს და იგი მიმდინარე წელს კიდევ 4 პროცენტით გაიზარდოს. შეჯიბრების წინა ხაზზე არიან ვახისუბნისა და ჩუმლაყის კოლმეურნეობები, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. თითოეული 10 ათას ტონიანი მიჯნის მისაღწევად იბრძვის. 6 ათას ტონას გადააჭარბებენ ველისციხის, ჯანდრის, შაშიანის, არაშენდის, კაჭრეთის კოლმეურნეობები, მუკუზნის, კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. ამ საზოგადოებრივ მეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 135 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

გამარჯვების რწმენის საფუძველი ისიც გახლავთ, რომ შრომა უფრო ორგანიზებული, უფრო მიზნობრივი გახდა, რასაც, პირველყოვლისა, ხელს უწყობს პარტიის რაიკომთან შექმნილი შტაბი, რომელშიც რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკებთან, რაიონის მთავარ სპეციალისტებთან ერთად შედიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის წამყვანი სპეციალისტები. შტაბი მოქმედებს წინასწარ შემუშავებული ზუსტი გეგმა-გრაფიკით. შტაბის მეშვეობით გეოგრაფიული, კონკრეტული მიკრორაიონული საშუშაოს მიხედვით შედგენილია ურთიანი სამუშაო გეგმა.

შტაბის უნარიანი ხელმძღვანელობის წყალობით რაიონის საზოგადოებრივი ვენახები შესანიშნავად არის მოვლილი. სასუქები მთელ ფართობზეა შეტანილი. მარტო ფოსფორიანი სასუქები 9.900 ტონა შევიტანეთ. განხორციელდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკით უზრუნველყოფის ღონისძიებები: გასული წლის მეორე ნახევრიდან დღემდე რაიონმა მაღლო 100-ზე მეტი ვენახის ტრაქტორი, ამდენივე საწამლი აპარატი, 60-მდე ვენახის რგვეთშორისების დამმუშავებელი მოწყობილობა და სხვ.

ამ ქმედითი ღონისძიებების განხორციელების შედეგად 15 აპრილისათვის ვენახების შეყელვა დამთავრებული იყო, 15 მაისისათვის მსხმოიარე ვენახების პირველი ფურჩვნა და პირველი წამლობა დასრულდა. თავის დროზე და აგროწესების დაცვით დამუშავებულია მიწა რიგთშორისებში და ვაზის ძირებში. მარტო შაბათობაზე კაჭრეთის ზონაში 800 ჰექტარზე მეტი ვენახი გაიოთხნა. შებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტების შეფასებით ვენახები უმაღლეს დონეზეა დამუშავებული. რაიონში ოპერატიულად ხორციელდება შხამქიმიკატებისა და ვენახის საწამლი მასალების შემოზიდვა. საზოგადოებრივი, აგრეთვე საკარმიდამო ვენახებისათვის ეს მასალები საკმაოდ გვაქვს.

ახლა კარდანახის, ბაკურციხის, ვეჯინის ვენახების გასარწყავების მიზნით სწრაფად მიმდინარეობს სამი სატუმბი სადგურის მშენებლობა. მართალია, მათი ამოქმედება მეოთხე კვარტალისათვის არის დაგეგმილი, მაგრამ შტაბის წყალობით ისინი გათვალისწინებულზე 6 თვით ადრე ჩადგება მწყობრში. ამით დამატებით 4 ათას ტონა ყურძენს მივიღებთ.

სულ საზოგადოებრივი ვენახებიდან, შტაბის წინასწარი გამოანგარიშებით და მონაცემებით, ვარაუდობენ 94 ათასი ტონა ყურძნის, საკარმიდამოდან კი 44 ათასი ტონის მიღებას, რაც მთლიანად უზრუნველყოფს დასახული მიჯნის მიღწევას.

ახლა მთავარი ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, მის საჯაროობას, მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებათა განხორციელებას. მარტო 1979 წელს რაიონში მატერიალური წახალისების ფონდიდან გაცემულია მილიონ 127 ათასი მანეთი.

გურჯაანელ მევენახეებს სიტყვის გატეხა არ სჩვევია და არც ამჯერად შეირცხვენენ სახელს. რაიონის კომუნისტები, თითოეული მშრომელი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სიტყვა კვლავ საქმედ იქცეს, წარმატებით შეასრულონ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის დადგენილებით მათთვის დაკისრებული დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

გ. შინჯიაშვილი,
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲦᲕᲘᲜᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ!

კპ ღვინისათვის ბრძოლა ვენახში იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეზვრეები სახელმწიფო მარანში როგორ ყურძენსაც მოიტანენ, ისეთ ღვინოს დავაყენებთ. მაგრამ ხომ ისედაც ხდება ხოლმე, რომ მაღალხარისხოვანი ყურძნისაგან უგერგილო მემარნე უხეირო ღვინოს აყენებს? სამწუხაროდ ხდებოდა და ხდება, მაგრამ ჩვენ მოწმენი ვყოფილვართ იმისაც, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრებიდან ნაკლებშაქრიანი, დაუმწიფებელი ყურძენი მოუტანიათ. რა ვიღონოთ? აი აქ კი მართლაც გვჭირდება დიდი სიფრთხილისა და საზრიანობის გამოჩენა. ჩვენი მიზანია სახელმწიფო მარნებში უმაღლესი ხარისხის ყურძენი მივიღოთ და მართლაც სანაქებო ქართული ღვინოები დავაყენოთ.

განვლილ ოთხ წელიწადში ქართველმა მემარნეებმა ბევრი კარგი საქმე გააკეთეს და შინაურსა თუ უცხოელ სტუმარს ჩინებული ქართული ღვინოები შესთავაზეს. იყო შემთხვევა, როცა ზოგიერმა ხელმრუდემ პირზე მური წაისვა, თვალი დაიბრმავა, ყური მოიყრუა, სიხარბემ სძლია და ჩვენს ღვინოს სახელი გაუტეხა. ამას ზოგი მოუსვიანი წლით ან სტიქიური მოვლენებით ამართლებდა.

ჩვენში ვერ სრულდება უნიკალური მოტკბო ღვინოების დამზადების დავალებანი. შესანიშნავი მოტკბო ღვინო „უსახელაური“ ბოლო წლებში თითქმის არ დამზადებულა. „ოჯალეში“ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადს არ დამზადდა, 1978 წელს დამზადდა 5 ათასი დეკალიტრი, შარშან კი ნაცვლად 50 ათასი დეკალიტრისა — 13 ათასი დეკალიტრი. ვერ სრულდება აგრეთვე „ხვანჭკარისა“ და „ქინძმარაულის“ დამზადების გეგმები. ხარისხოვანი სუფრის მშრალი საერო ღვინოების დამზადების გეგმა. შარშან 16 მილიონ 300 ათასი დეკალიტრის ნაცვლად დამზადდა 11 მილიონ 200 ათასი დეკალიტრი. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები ჯერ კიდევ ნაკლებშაქრიან ყურძენს გვაბარებენ. აქვე თვითკრიტიკით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მეღვინეებიც ვერ იყენებენ რესურსებს. ვფიქრობთ, დროა გადავხედოთ ყურძნის დამზადების დაგეგმვისა და მატერიალური დაინტერესების მეთოდებს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები საშუალებას გვაძლევს აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტი განხორციელებით ვაწარმოოთ მაღალკონდიციური ყურძენი და თავიდან ავიცილოთ დიდი ეკონომიკური ზარალი. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ყურძნის წარმოების გადიდებას, პირიქით, ჩვენ გვინდა მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება ზვრებში ხდება და მეევნახეთა სიძიებათა ზუსტი განხორციელებით ვაწარმოოთ მაღალკონდიციური ყურძენი და თავიდან ავიცილოთ დიდი ეკონომიკური ზარალი. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ყურძნის წარმოების გადიდებას, პირიქით, ჩვენ გვინდა მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება ზვრებში ხდება და მეევნახეთა ძალისხმევა. ეს ბევრ ადგილას ასეა. ამ საქმეში ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილ

ᲤᲔᲡᲕᲘ ᲒᲘᲙᲔᲠᲗᲡᲠᲘᲡ ᲖᲔᲜᲐᲛᲔ

ვაზო, ბუნების უბადლო
მცენარედ დაბადებულო,
შენი მადლით და ბარაქით
მართლაც საქვეყნოდ
ქებულო.

გაამოს არხმა სიუხვე
კიდევ გიმატოს ბარაქა,
გილოცავთ ხვალის
რთველობას,
გიმღერით შენ და ალაზანს.

ჩვენ არც წყალს გაკლებთ,
არც შრომას,
მავნეს არაფერს გაკარებთ,
ნიადაგს გიფხვიერებთ და
თითქოს ჩვენს სულსაც
გაბარებთ.

ცამ, ალაზანმა ცვარ-ნამი
ღამით კვლავ მეტი
გაპკუროს,
სეტყვაც გაშოროს და
კალთა
მზრუნველად გადმოგახუროს.

ახვითქდეს შენი კვირტიც,
რქაც,
იფურჩქნე, მეტად აყვავდი,
შვიდასი ათას ტონისთვის
დაქარვ-დამშვენდი,
დაშაქრდი.

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ფესვი გიკურთხოს ზენამ
და შერცხვეს იგი ქართველი,
ვინც დაიგიწყებს შენს ამაგს.

სიკო ჩანგაშვილი,
ხალხური მთქმელი,
თელავი.

სადიდებელი!

● **დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც სვამდნენ ისეთ მშვენიერ ღვინოს, როგორსაც საქართველოში.**

შარდენი,
ფრანგი მოგზაური.

● **ჩვენს ღვინოში არა არის რა, გარდა ყურძნის წვენისა, ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი საგანი არა ჰქონია.**

ი. ჭავჭავაძე.

● **უკანასკნელ წლებში მთელ რუსეთში გავრცელდა კავკასიის, ყირიმისა და სხვა ღვინოების მოხმარება, რომლებიც სათანადო დაყენებისას გამოირჩევიან მაღალი თვისებებით. ეს განსაკუთრებით ეხება ამიერკავკასიას (კახეთი), რომელსაც ვაზის სამშობლოდ თვლიან.**

დ. მენდელეევი.

● **ვსვამდი და აღფრთოვანებული ვიყავი. ღვინოში ყველაზე მეტი მზეა. გაუმარჯოს ხალხს, რომელმაც იცის ღვინის დაყენება და მისი მეშვეობით მზის ენერგია შეაქვს ადამიანის სულში.**

მ. გორკი.

● **თქვენს ღვინოში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის ჯადოსნური თვისებების სამი შესანიშნავი ღირსება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე.**

მივესალმები ქართულ მიწას!

მ. შოლოხოვი.

ᲐᲦᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ „ᲝᲯᲐᲚᲔᲨᲘ“

ზუგდიდის რაიონში ვაზის უნიკალური ჯიშის „ოჯალეშის“ გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. შემდეგ რატომღაც იგი დავიწყებას მიეცა და მოუვლელობით ზვრები განადგურდა. ახალსოფლის ორივე კოლმეურნეობაში, ორჯონიკიძის, ოდიშის, ჯიხაკარის, ჭითაწყაროს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში საუცხოოდ ხარობდა „ოჯალეში“, მოსავალსაც უხვს იღებდნენ. ახლა ეს ძვირფასი მცენარე გადაშენების გზაზეა.

ფაქტია, რომ საქართველოში გავრცელებული 500 ჯიშიდან „ოჯალეში“ პირველ ხუთეულშია. იგი შედარებით გამძლეა და მისგან 13-14 გრადუსიანი სურნელოვანი ღვინო დგება.

ყოველივე ამის მიუხედავად რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში „ოჯალეშის“ გაშენებას ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა. მეტი მზრუნველობა სჭირდება ხეხილის ნარგავებსაც. მეცნიერების მიერ მცენარეთა მკურნალობის შემუშავებულ ღონისძიებებს თუ განვახორციელებთ, „ოჯალეშიც“ უხვ მოსავალს მოგვცემს. ამასთან ვაზის წამლობაც მივიწყებას მიეცა. ზუგდიდის რაიონში შხამქიმიკატებსა და საფრქვევ-სასხურებელ აპარატებს ვერც ერთ სავაჭრო მაღაზიაში ვერ ნახავთ.

ზუგდიდის რაიონში ყველა შესაძლებლობა აქვთ, რომ როგორც საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ისე მოსახლეობამ ხელი მოჰკიდოს მევენახეობას, აღადგინონ ვაზის ეს უნიკალური ჯიში — „ოჯალეში“. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა გეგეჭკორის რაიონმა, სადაც სპეციალურად შეიქმნა „ოჯალეშის“ საბჭოთა მეურნეობა. არის შესაძლებლობა, რომ ამ მეურნეობიდან მივიღოთ საუცხოო ჯიშის „ოჯალეშის“ ნერგიც.

მ. დოჩია,
სოციალისტური შრომის გმირი, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზუგდიდის ზონალური ინსპექციის უფროსი.

თ. ქარცხია,
საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.





ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲠ

ᲒᲒᲔᲡᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲔᲒᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

Გ. ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

კითხვა: სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით მომავალ ათწლეულში საქართველოში მევენახეობა მკვეთრად უნდა განვითარდეს. სხვა ღონისძიებათა გარდა, რა არის საჭირო, რომ ყურძნის წარმოებისა და დამზადების ნავარაუდევი ციფრი რეალური იყოს?

პასუხი: მე აქ არ მოვყვები იმის მტკიცებას, თუ რა დიდმნიშვნელოვანი დადგენილება მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ერთი კი უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს პარტია და მთავრობა, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი დიდ ყურადღებას უთმობენ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საამაყო და სასიხარულოა, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს დიდი დოკუმენტები დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

მომდევნო მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წელიწადს 1.200 ათასი ტონა, ხოლო 1990 წლისათვის 1.600 ათასი ტონა ყურძენი უნდა ვაწარმოოთ. ეს დიდი ამოცანაა, მის გადაწყვეტას საქართველოს სოფლის მშრომელთა, ყოველი მევენახის ზრუნვა და გარჯა დასჭირდება. ამისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში მევენახეობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს;

კითხვა: მომავალ ათწლეულში რომელ რეგიონსა თუ რაიონში რამდენ ჰექტარზე გაშენდება ახალი ვენახები? უმთავრესად რომელი ჯიშის ვაზის ნერგით გაშენდება ზვრები?

პასუხი: როგორც აქამდე მევენახეობის ძირითად რეგიონებად კახეთი და იმერეთი რჩება. რა თქმა უნდა, ამ რეგიონებშია ძირითადად დაგეგმილი ახალი ვენახების გაშენება. ახალი ვენახები დიდ ფართობზე გაშენდება წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, ყვარლის, თელავის, გურჯაანის, თერჯოლის რაიონებისა და წყალტუბოს ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

მეთერთმეტე ხუთწლედში წითელწყაროს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 6.700 ჰექტარი ვენახი უნდა გააშენონ, ერთი ამდენი კი მომდევნო ხუთწლედში. რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა აქედანვე ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ამ დიდ, მამულიშვილურ საქმეს თავი კარგად მოაბან.

დიდი ამოცანების გადაწყვეტა აკისრიათ სიღნაღელ, საგარეჯოელ, ყვარელელ და გურჯაანელ მევენახეებს. სიღნაღელები მომავალ ხუთწლედში 4.900 ჰექტარ ვენახს გააშენებენ, ხოლო საგარეჯოელები — 4.000 ჰექტარს, ყვარელელები — 3.000 ჰექტარს, გურჯაანელები — 2.200 ჰექტარს. ასევე დიდ ფართობზე გააშენებენ ვენახებს თელავის რაიონის (1.550 ჰექტარი), წყალტუბოს ზონის (1.200 ჰექტარი), თერჯოლის რაიონის (1.000 ჰექტარი) საზოგადოებრივი მეურნეობები. სულ რესპუბლიკის ზვრებს მეთერთმეტე ხუთწლედში 30.000 ჰექტარი შეემატება.

ამასთან თქმა არ უნდა, ძირითადად შესანიშნავი ჯიშის „რქაწითელის“, „საფერავის“, „ცოლიკაურის“, „ციცქას“ და სხვა ქართული უნიკალური ჯიშები გაშენდება.

წლეულს ყურძნის წარმოების გადიდებისა და ხუთწლედის დავალებათა შესრულების დიდ რეზერვად მიგვანიჩნია ის ვენახები, რომლებიც სულ რაღაც ორი-სამი წლის წინათ გაშენდა. ახალ ზვრებში მევენახეებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით წელს უხვი მოსავლის მიღება შეუძლიათ. ამასთან არ უნდა დაივიწყონ, რომ სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ზვრებში უფრო იოლია და ამიტომ მაქსიმალურად უნდა შეავსონ რიგებში გაცდენილი ადგილები. ამით მომავლისათვის შრომასაც გავიადვილებთ და უხვ მოსავალსაც მივიღებთ.

კითხვა: ახლო მომავალში ვენახების მოვლა-პატრონობის რა ახალი ხერხები და ღონისძიებებია მოსალოდნელი? როგორია თქვენი მოსაზრება ფართომწკრივებიან და მაღალშტამბიან ვენახებზე? რა სიახლეები იქნება ვენახებში სამუშაოთა მექანიზაციაში?

პასუხი: ვაზო შვილივით ნაზარდო — პირველად ალბათ იმ ქართველმა მეზვრემ თქვა, რომელსაც უზომოდ უყვარდა შვილიცა და ვაზიც. და თუ ვაზის სიყვარული შვილისას გაუტოლდა, ალბათ იმიტომ, რომ ვაზში თავის სამშობლო საქართველოს გულისხმობდა და სამშობლო ხომ მართლაც შვილივით საყვარელია! მერწმუნეთ, ვიდრე ქართველი მეზვრე სულდგმულობს, მას ვაზის სიყვარული არ გაუძნელდება და როცა ასეთი სიყვარულია, ვაზსაც არ გაუჭირდება, რადგან ტყუილად როდი ვამბობთ — ვაზი და ქართველი ამქვეყნად ერთად გაჩნდნენო!

როცა ქართველ კაცს, მეზვრეს ვაზი შვილივით უყვარს, ის მოვალეა ჩვენი მიწის მშვენებას, ჩვენს მარჩენალს მართლაც შვილივით მოუაროს.

ყოველივე ამის საწინდარია ახალი აგროწესები, სათანადო ინსტიტუტების რეკომენდაციები, მოწინავე მევენახეთა გამოცდილება! ახლა ჩვენ გვაქვს ისეთი მანქანები, რომლებითაც ერთ მევენახეს შეუძლია რამდენიმე ჰექტარიან დიდ ზვარს მოუაროს. გახა ამ ოცდაათი წლის წინათ ვინმეს ექვი არ შეეპარებოდა თვითმფრინავით ვენახების წამლობაში? მაგრამ მე ჩვენი ზოგიერთი კონსერვატორი მეცნიერის პოზიცია მაკვირვებს. სწორედ მათი თავშეკავების მიზეზით ორმოციან წლებში და, მგონი, შემდეგაც, გაგვიჭირდა ტრაქტორებით ვენახებში მიწის დამუშავება და წამლის შესხურება, რადგან მწკრივთშორის მანძილი კარგა ხანს ვერ გავადიდეთ. შეიძლება ზოგიერთ სიახლეს ახლაც ასევე დუმილით ვხვდებით და ვამუხრუჭებთ კარგ საქმეს?

ბევრს ვწერთ ვაზის მაღალ შტამბზე, მაგრამ ძალზე მცირე ფართობზეა გაშენებული მაღალტამბიანი ვენახები. ჩემი აზრით, ახალ ვენახებში ვაზები მაღალ შტამბზე უნდა გავუშვათ. ეს ყინვისსაწინააღმდეგო კარგი საშუალებაა. მაშ რატომ ვაბრკოლებთ ამ წესის დანერგვას? არც განიერმწკრივიან ზვრებზე უნდა ვთქვათ უარი, მაგრამ, ჩემი აზრით, მანძილი სამ მეტრს აღარ უნდა გადავამეტოთ.

კითხვა: სეტყვა ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებს მევენახეობას. დღემდე არსებული საშუალებები, როგორც ვხედავთ, რადიკალური არ არის. როგორია თქვენი მოსაზრება ვენახების სეტყვისაგან დასაცავად?

პასუხი: მართლაც არა გვაქვს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალება. ამჯერადაც ჩვენი მეცნიერი მუშაკების კონსერვატიული დამოკიდებულება ხომ არ არის ის ჯვირი, რომელიც აი უკვე ათი წელია ვერ გადავლახეთ? ვერ დავადგინეთ, სასარგებლო არის თუ არა სეტყვის ზონებში ვენახების ბადით გადახურვა. ნუთუ ძნელია გავარკვიოთ, რა გავლენას იქონიებს ვაზსა და ყურძნის ხარისხზე ბადით გადახურვა? სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური კახეთისა და ქართლის ზონებში ვენახებს იცავს სეტყვისაგან, მაგრამ მიუხედავად დიდი მუშაობისა, თითქმის ყოველ წელს ისეტყვება ზვრები. სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაკები ამას თითქოს ობიექტური მიზეზებით ხსნიან, მაგრამ ჩვენი მეზვრეები მიზეზების ძებნით როდი კმაყოფილდებიან. თავის მართლება კი არა, სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ღონისძიებების შემუშავებაა საჭირო.

კითხვა: მომავალ ათწლეულში ასეთ დიდ ფართობზე ზვრების გაშენება მუშახელით უზრუნველყოფაში სიძნელეებს ხომ არ წარმოშობს?

პასუხი: ოცდაათიან წლებში სიღნაღის რაიონის ხარისს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სოფლებიდან კარგა მოშორებით შიშველ მინდორზე შეიქმნა. მაშინ ბარითა და თოხით გაკეთდა ყველაფერი და ახლა ხარისა მძლავრი მეურნეობაა. ამჯერად კი, როცა უამრავი სხვადასხვა მანქანა გვაქვს, რატომ უნდა დადგეს დღის წესრიგში მუშახელის პრობლემა? დღეევანდელი და უფრო უკეთესი მომავლის მექანიზაცია საშუალებას მოგვცემს მუშახელის პრობლემების დადებითად გადასაჭრელად.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘ

ᲒᲒᲔᲡᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲔᲒᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

Გ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ,
რესპუბლიკის მეღვინეობის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი.

ᲣᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ ᲜᲐᲖᲐᲠᲓᲘ!

ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐ

ᲩᲔᲛᲘ სახლის მეოთხე სართულის აივანზე ვაზია ამოსული. შემზედვარეს უკვირს, ქალაქში, ამ სიმაღლეზე ვაზი როგორ ამოვიდაო.

თუ გული გულობს, უფრო მაღლაც ამოვა-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის და ვიცი, რომ ამას ვაზის ძალა და შეუპოვრობა მაფიქრებინებს.

ვაზი მზისა და მიწის შვილია და სიცოცხლის წყურვილიც დიდი აქვს. მაგრამ ისიც, როგორც სხვაც ბევრი დანარჩენი, როდენ უმწეო ხდება, თუ კაცმა გარჯა მოაკლო, ან უდიერი ხელით შეეხო.

ვაზის მომვლელი, გამრჯე კაცი, მეზვრეა....

მეზვრე ვახსენე და კახეთი მიდგას თვალწინ, ჩვენში ვაზის უპირველესი სამშობლო... ერთხელ დავწერე: ამ ქვეყნად ყველას ჩვენ-ჩვენი როველი გვაქვს-მეთქი და საკუთარი თვალით დანახული, საკუთარი გულით განცდილი რთველი ვიგულისხმე...

მახსენდება ქვევრის რეცხვა, „ითქოსდა დაუსრულებელი (ღვინოს გემო არ მიეცესო). თითქოსდა წმიდათაწმიდა, მოკრძალებული რიტუალი.

მერე მარანში შესვლა, როგორც ტაძარში, სავსე ქვევრის მოხდა...

ნაზად გადაკრება მსუბუქი მიწისა, ქვევრის თავზე დაფენილი ვაზის ფოთლების გამოჩენა, თავანკარა ღვინის სარკეში ჩახედვა... ღმერთმანი, ღირდა ერთ სიცოცხლედ გულით დანახვა ყოველივე ამისა.

მერე რთველი? ეს დიდებული შეგვახსენა სუფრაზე დაჯდომის წინ: „თქვენცა საყვარელნო, განეკრძალენით ზედასა-ზედა ღვინის სმასა და მარადის სიმთვრალესა ვინაითგან, მთვრალობა არს თავი ყოვლისა ცოდვისა და შემძინებელი ურჯულოებასა ზედა ურჯულოებისა. სტუმარი ისტუმრენით სიხარულითა და სვით ღვინო ზომიერად და ჭამეთ ტაბლა კეთილად, მოყვასნი შეიყვარენით უცოდველად და კეთილსა უყოფდეთ და ნუ ბოროტსა“.

არ დაგავიწყეთო, ეს სიტყვები სუფთა, თავანკარა ღვინოზე თქმულა და არა იმ ღვინოზე, ზოგჯერ, „პატიოსან“ ოჯახში, „პატიოსანი“ მასპინძელიც კი რომ გაძალებს და ფიცილით იწყვეტს ოჯახს, გაკეთებული არ გეგონოს, ჩემი ხელით დაყენებული ღვინოაო.

დღეს არ ვიცი, ცილს ვერავის დავწამებ, მაგრამ ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ კი იგივე ვაზის სამშობლოში, კახეთში, ღვინის გაკეთება უდიდეს სირცხვილად და

ᲞᲝᲔᲛᲐ ᲛᲔᲖᲕᲠᲘᲡᲐ

ᲕᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲣᲧᲕᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲐᲙᲐᲪᲡ

თავის მოჭრად ითვლებოდა. მარტო ერთი სოფელი იყო ამ საქმით „ცნობილი“ (ნუ დამასახელებინებთ, იქნებ ახლა ის სოფელი სხვათა გვერდით უწყინარ ბატკანსა ჰგავს)... დიახ, ერთ სოფელზე ჰქონდათ ეჭვი და იმ სოფელსაც მთელი კახეთი, დიდიან-პატარიანად დასცინოდა... ეს ის სოფელია, ღვინოში რომ შაქარს ურევენო.. .და მთელ კახეთში, ვერც დიდსა და ვერც პატარას ვერ გაეგო, ამ მართლაც მზისფერ და შემრგვალ ვაზის ფოთლიან ოჯახს, ასეთ ოჯახს, ასეთ ფხიზელი ბაღიანს, ასეთ ბაღიანს, ასეთ ოჯახს, ასეთ ფხიზელ ვაზს, ასეთ ვაზს, ასეთ ოჯახს, ასეთ ბაღიან

ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე



მშვენიერია ბაღარა და მარად ახალგაზრდა თბილისი. მაღალი შენობები, რომელთა გარეშე დღეს წარმოუდგენელია მისი სახე, კილომეტრებზე გადაჭიმული საცხოვრებელი მასივები და ისტორიული სიძველენი — ყოველივე ეს განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებს ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანად იცვალა სახე კოლმეურნეობის მოედანმა და ბარათაშვილის ქუჩამ. არქიტექტორთა, დეკორატორთა, გამმწვანებელთა და რესტავრატორთა შთაგონებული შრომის შედეგად ეს ლაბირინთი უბანი ახლებურად წარსდგა თბილისელებისა და ჩამოსული სტუმრებეს წინაშე. ძველი ქალაქის განუყოფელ ნაწილად იქცა.

სურათზე: განახლებული და დამშვენებული ბარათაშვილის ქუჩა ძველი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი უბანი.

ო. თურაქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ისე, როგორც არც ერთი სხვა გუნდი“...

ჩვენს ხელთ არის ყოველკვირეული გამოცემის „ფუტბოლ-ჰოკეის“ მთავარი რედაქტორის ლევ ფილატოვის საფეხბურთო მიმოხილვა, რომელიც მან საკადისის შეკვეთით დაწერა. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს:

„ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერთაგან განსაკუთრებულ სიამოვნებას გვანიჭებს თბილისის „დინამოს“ თამაში. ისე, როგორც არც ერთ სხვას, თბილისელთა გუნდს თამამად შეუძლია თავის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებების შეტანა. თანაც ისე, რომ არაფერს კარგავს, პირიქით, იძენს ახალ-ახალ... მათი თამაში უფრო დინამიკური და მწვავე გახდა. გუნდი მსუბუქად და თავისუფლად ცვლის თავის ტაქტიკურ ვარიანტებს თავდასმსმელების შეხვედრას, გუნაკვეთილა და ჩელენაძის მეშვეობით, რომლებიც ასერიგად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და შეიძლება ამ ამოცანას იმიტომ ართმევს თავს ესოდენ კარგად, რომ თამაშს ხელმძღვანელობს ყიფიანი, რომელიც, ეტყობა, მით უფრო საინტერესოდ მოქმედებს, რაც უფრო რთულია სიტუაცია.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თბილისელთა თამაშს აკლია ორგანიზებულობა, თითქოსდა მათი იმპროვიზირება ზიანს აყენებს შეხმატკბილებულ მოქმედებას. მე არ ვიზიარებ ამ შეხედულებას, პირიქით, ჩემი აზრით, იმპროვიზაცია თბილისელებს იმიტომ უწევს დიდ სამსახურს, რომ მას საფუძვლად უდევს თამაშის ტაქტიკის საკმაოდ დიდი ცოდნა, თორემ გუნდი ანარქიამდე და ავანტიურიზმამდე მივიდოდა. ასეთი რამ მას წინათ მოსდიოდა, მაგრამ არა უკანასკნელ წლებში, როცა მისი თამაშის ღირსებებს უკვე განუენებული ხასიათი აღარა აქვს. ამას ადასტურებს მისი რეალური სატურნირო წარმატებები. მე მგონია, ხანდახან თბილისელებზე ძველმოდურად მსჯელობენ დ. ვერ ამჩნევენ, რომ გუნდი თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისად დასერიოზულდა და თამაშის თავისი მანერაც შეინარჩუნა.

ამჟამად ნაკლებად ამოსაცნობია კიევის „დინამო“. ისეთი გრძნობა გვიპყრობს, რომ გუნდი ელის თავის ჟამს, მაგრამ ეს ჟამი ჯერ არ დამდგარა. გათამაშების ცხრილში მას კარგი ადგილი უკავია, ბევრი ბურთი გაიქვს, შემადგენლობის ვარიანტებს სცდის, მაგრამ უფრო ნაკლები წარმატებებით, ვიდრე თბილისის „დინამო“. ამასთან ერთად ორ უკანასკნელ დაერთობ პასუხსაგებ მატჩებში — „სპარტაკთან“ საჩემპიონატო და თბილისის „დინამოსთან“ სათასო შეხვედრებში კიეველებმა, მართალია, სპრძოლო განწყობილება გამომამეღავნეს, მაგრამ მინდვრის შუაგულშიც და იერიშების დროსაც დამაჯერებელი თამაში ვერ გვიჩვენეს.

როგორც მოსკოვში, ისე სხვა ქალაქებში „სპარტაკი“ განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. იგი ჩემპიონიც არის, ნაკრების დასაყრდენიც და მის თამაშს პრესაში ქებით იხსენიებენ. მაგრამ აი, ძველი ფრე ლენინგრადსა და მინსკში, წაგება თასის გათამაშების ნახევარფინალში „შახტიორთან“. გვაქვს თუ არა ძველ შეფასებათა რევიზიის საფუძველი? ვფიქრობ, რომ არა. „სპარტაკმა“ თამაშის საკუთარი ხელწერა შეინარჩუნა, არაფერი დარღვეულა. სხვა საქმეა, რომ ეს ახალგაზრდა გუნდი ფიზიკურ დატვირთვებს ზრდის, რაც მისთვის უჩვეულო იყო. შარშან „სპარტაკმა“ „შეუპოვარი გუნდადის“ როლი შეასრულა. ახლა მას მთავარი როლის შემსრულებლად თვლიან. ეს უკვე სხვადასხვა ამბავია. საკმარისი იყო „სპარტაკს“ „შახტიორთან“ უტემპოდ, თავდადების გარეშე ეთამაშა, და მისი კომბინაციური მიმზიდველობა ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა...“

ᲧᲐᲤᲐᲜᲘ

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲢᲧᲝᲜᲐ, ნიუიერი ჭაბუკები, რომლებიც საკმაო რაოდენობით მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა), არაერთ სიურპრიზს მოგვიტანენ. სწორედ ასეთი მოულოდნელობა იყო შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, 14 წლის ქუთაისელი შაგაულიძის გამარჯვება მეორე ტურში მრავალნაცად ოსტატ ჩიქოვანთან. ოსტატს დიდხანს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ შეცდა. დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე შეჯიბრების სტარტზე, მეტოქე შეუცვალეს. სოხუმელი იაილიანის ნაცვლად, რომელიც თბილისში არ ჩამოსულა, მას ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატ ჩიგოგიძესთან მოუხდა თამაში, გაიმარჯვა დიდოსტატმა. ჩაჩიბაიამ უზუსტოდ გაითამაშა დებიუტი საერთაშორისო ოსტატ ზაიჩიკთან. შავებმა ცენტრში ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღეს და მალე ჩაჩიბაიას დანებება მოუხდა. ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა ოსტატმა სტერუამ, რომელიც მაჭარაშვილს ეთამაშებოდა. ნეურონოვმა მოუგო ხანთაძეს. ყიფიზე შეთანხმდნენ ეფიმოვ-აზმაიფარაშვილი და გიორგაძე-თორია.

ᲑᲣᲜᲘ, მესამე ტურში სტურუამ დაამარცხა ზაიჩიკი, აზმაიფარაშვილმა — გ. გიორგაძე, დ. გურგენიძემ — ნეურონოვი, ვედეკანაშვილმა — მაჭარაშვილი, ჩაჩიბაიამ — შავგულიძე, თორიამ — ჩიგოგიძე. დაზავდნენ ეფიმოვი და ხანთაძე. ნანა ალექსანდრია-ჩიქოვანის პარტია გადაიდო.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲥᲔᲚᲘ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მეცხრე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: ნახიჩევანის „ხაზარი“-კიროვაბადის „პროგრესი“ — 1:0, სტეფანაკერტის „ყარაბახი“-სამტრედიის „ლოკომოტივი—1:1, ერევნის „არაბკირი“-გორის „დილა“ — 2:0, ამბარცუმის „კოლხეთი“-სოხუმის „დინამო“ — 2:0, ბაქოს „ავტომობილისტი“-ზუგდიდის „დინამო“ — 1:0, აბოვიანის „კოტაიკი“-ფოთის „კოლხეთი“ — 2:0, ლენინაკანის „შირაკი“-ბათუმის „დინამო“ — 1:1.

ცხრა ტურის შემდეგ 15 ქულით ერთიანი ოვნულად ლიდერობს „ლოკომოტივი“. მომდევნო ადგილებზე არიან: „კოტაიკი“ და „არაბკირი“ — 13-13.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲬᲧᲐᲚᲢᲑᲝᲜᲐ. თბილისში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში ვეჯთა შორის სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა სარეტოველმა ვიაჩესლავ ტროშინმა 900,345 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა მინსკელმა ალექსანდრე კოსენკოვმა — 861,75, მესამე — ჩელიაბინსკელმა სერგი კუზმინმა — 835,655. გუშინ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომებელებმა იასპარეზეს. თბილისელმა **ლიანა ცოტაძემ** ყველაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა (419,04 ქულა) და ფინალში პირველობისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ᲭᲐᲓᲐᲠᲐᲙᲘ. ოდესაში გრძელდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი. ტ. ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და მ. ლიტინსკაის (სსრ კავშირი) შორის. მეტოქეთა მესამე პარტიაში შავებით გაიმარჯვა ლიტინსკაიამ, ახლა ანგარიშია 2:1 ლიტინსკაიას სასარგებლოდ.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ მიმდინარე საერთა შორისო ასპარეზობის მეორე ტურში რომანიშინმა დაამარცხა სუნიე (ბრაზილია), ცეშკოვსკიმ — კარლსონი (შვეიცია), ა. პეტროსიანმა — ვაპანიანი, ლუტიანმა — დობოში (პოლონეთი), მნაცკანიანმა — ვადასი (უნგრეთი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ზ. ა. ლომაძე** დანიშნა საქართველოს სსრ განთლების მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი ამ სამინისტროს მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან.

(საქინფორმი).

Ⓡ. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ



ხანგრძლივი დ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 73 წლისა გარდაიცვალა სკკპ წევრი 1932 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოვური მოძრაობის ორგანიზატორი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ვეტერანი მეტალურგი რომან არსენის ძე **მამალაძე.**

რ. მამალაძე დაიბადა 1907 წელს სოფელ ხეკში (ჩოხატაურის რაიონი), საშუალო განათლება მიიღო ჩოხატაურში.

1930 წელს რ. მამალაძე მუშაობას იწყებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობაზე, ქარხნისა, რომელსაც მჭიდროდ დაუკავშირა შემდგომ თავისი შრომითი ბიოგრაფია. მდნობელის პრაქტიკა ახალბედა მუშამ გაიარა პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით აგებულ თბილისის საცდელ ღუმელზე, შემდეგ კი ჩელიაბინსკის ფეროშენადნობთა ქარხანაში, საიდანაც მდნობელის პროფესიით დაბრუნდა და სხვებთან ერთად 1933 წლის 30 ოქტომბერს პირველი ქართული ფეროშენადნობის მიღება იზეიმა.

რ. მამალაძე იყო ქარხანაში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. 1938 წლის ივნისში მოწონავე მუშას საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ, ხოლო იმავე წლის აგვისტოში აწინაურებენ ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა 1944 წლამდე; ქარხანაში აღზრდილ სახელმოხვეჭილ მეტალურგს გულმა ისევ ქარხნისაკენ გაუწია — მუშაობდა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ, საამქროს უფროსის მოადგილედ, უფროს ოსტატად, თავდადებული შრომისათვის მიღებული ჰქონდა პარტიისა და მთავრობის ჯილდოები.

რ. ა. მამალაძე არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის და ბიუროს წევრად, რაისაბჭოსა და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ღვაწლმოსილი მეტალურგის, გულისხმიერი ადამიანის რ. ა. მამალაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების და აღზრდილების გულებში.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომი, სახალხო დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომი.

ᲙᲣᲠᲜᲐᲕᲗᲡ... ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲔᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ

მედიკოსთა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს კითხვა — ზოგიერთ სნეულებათა სამკურნალოდ შეიძლება თუ არა ჯანსაღი ადამიანის — დონორის სისხლისა და ძვლის ტკივნის უჯრედების გამოყენება?

კლინიკისტთა მრავალი წლის შეუნელებელი ძიების შედეგად ცხადი გახდა ამ უჯრედების ეფექტიანი სამკურნალო მოქმედება განსაკუთრებით იქ, სადაც დაავადების მიზეზი სისხლის წარმოქმნის გაუკუღმართება იყო. ცნობილია, რომ როგორც ყოველი ცოცხალი წარმონაქმნი, სისხლის უჯრედებიც თავიანთი „მუშაობის“ პროცესში ცვდება, ვეღარ ასრულებს მოვალეობას და გარკვეული დროის შემდეგ განიდევნება ორგანიზმიდან. მათ ადგილს იკავებს ძვლის ტვინიდან მუდმივი ნაკადით მომდინარე ახალგაზრდა წითელი და თეთრი ბურთულები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეებითღა განისაზღვრება.

და აი, როცა რაიმე მიზეზის გამო ირღვევა სისხლის ეს ნორმალური, განუწყვეტელი განახლების პროცესი, მაშინ არის აუცილებელი ორგანიზმისათვის დახმარების გაწევა — ორგანიზმში სისხლის ზრდადასრულებული ელემენტების (ერითროციტები, ლეიკოციტები) ან მათი წარმომქმნელი ძვლის ტვინის ახალგაზრდა, უმწიფარი უჯრედების გადასხმის სახით. ეს კი მოითხოვს ამ უჯრედების ორგანიზმის გარეთ შენახვას — „კომსერვირებას, რაც მეტად ძნელი განსახორციელებელი შეიქნა.

მკვლევართა არა ერთი თაობის ცდას — გამოეყენებინათ უჯრედების ხანგრძლივი კონსერვაციისათვის ბიოლოგიასა და მედიცინაში უკვე დიდი ხნის წინათ ცნობილი სასიცოცხლო პროცესებზე სიცივის დამთრგუნველი მოქმედება, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

და აი, ავტორთა ჯგუფმა (ი. მახათაძე, გ. ბაკურაძე, ნ. ბადალოვი, ნ. მღებრიშვილი, შ. ყახიანი, ს. ოგანოვი, მ. როყვა) ათათუ მიაგნო ბიოპროდუქტთა კრიოსაკონსერვაციო ხელსაყრელ ტემპერატურულ პირობებს, არამედ მოგვცა კიდეც მისი სარეალიზაციო კონსტრუქციული გადაწყვეტა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნეს გამყინავი აპარატის რამდენიმე მოქმედი მოდელი, რომელთაგან ერთ-ერთის მეირე სერია თვით ინსტიტუტმა დაამზადა და გადასცა სსრ კავშირის სისხლის სამსახურის (მოსკოვი, კიევი, ტაშკენტი, თბილისი, ერევანი) სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებს საექსპლოატაციო მონაცემების შეფასებისა და მათი კლინიკაში გამოყენების შესაძლებლობათა დასადგენად.

სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრი აპარატის საუკეთო საექსპლოატაციო თვისებების შესახებ, მისი აღიარება ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სამსახურის მიერ, სსრ კავშირის სისხლის სამსახურის დაწესებულებების და საზღვარგარეთის სპეციალისტების მრავალრიცხოვანი გამოხმაურებები ამ აპარატის თაობაზე მოწმობდა ავტორთა კონსტრუქტორული ჩანაფიქრის ოპტიმალურ გადაწყვეტას.

შემდგომი ძიება აპარატის ტექნიკური სრულყოფისათვის დაგვირგვინდა შესამე ვარიანტის შექმნით, რომელიც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეკუთვნის. ამ ბოლო ვარიანტზე ავტორთა ერთ-ერთ ინტერვიუ. ეს ინტერვიუ ეფექტიანი ინფორმაციულ-ინფორმაციული ხასიათისა. ამ